სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 153

(წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის შედეგად)

ქ. ბათუმი 2023 წ.

ერთი მხრივ, შპს ,,სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი"(ს/კ 245418392) (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი მისი დირექტორის ციური აბულაძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოადგილის მეცნიერების დარგში პაატა იმნაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი"-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს. 1.6. ,,შესყიდვის ობიექტი/მომსახურება'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები (მიმწოდებელი შემსყიდველს აწვდის სამედიცინო მომსახურებას, კერძოდ, ლაბორატორიული კვლევების წარმოება ფასების ცხრილის (დანართი #1) შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი);

2.2. კლასიფიკატორის კოდი: 85100000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 28500(ოცდარვაათას ხუთასი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ურთიერ–მოვალეობები

4.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს:

4.1.1. „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად კვლევას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს ლაბორატორია.

4.1.2. ლაბორატორიული ტესტირებებისათვის ნიმუშების მოსამზადებლად საჭირო მოწყობილობებისა და საგნების დროებით სარგებლობაში ნიმუშების წარმოდგენამდე გადაცემას სათანადო მიღება–ჩაბარების აქტებით, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.1.3. ჩატარებული ლაბორატორიული ტესტირებების გამოკვლევების შედეგების მიწოდებას, როგორც ელექტრონულ ფორმატში, ასევე სპეციალურად ამ მიზნით წინასწარ დადგენილი ფორმებით.

2 **4.2. „შემსყიდველი“ უზრუნველყოფს:**

4.2.1. „მიმწოდებლის“ მიერ გადაცემული, ნიმუშების მოსამზადებლად საჭირო მასალის მიზნობრივ გამოყენებასა და სათანადო დაცვას.

4.2.2. საკვლევი ნიმუშების მომზადებას „მიმწოდებლის“ მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიებით და უსაფრთხო მოწოდებას რეგიონალური დეპარტამენტის ზონალურ სადიაგნოსტიკო ლაბორატორიაში.

4.2.3. ნიმუშების თანმხლები სარეგისტრაციო ფორმების სრულად შევსებას.

4.2.4. „მიმწოდებლის“ პერსონალის ხელშეწყობას ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცვის სტანდარტების შეფასების და მონიტორინგის პროცესში. ბიოუსაფრთხოების სამოქმედო ოპერაციული პროცედურების შესრულებას.

4.2.5. ხარისხის კონტროლის სისტემის მოთხოვნების და ოპერაციული პროცედურების დაცვას. გარე და შიდა აუდიტის განხორციელების ხელშეწყობას.

4.2.6. ლაბორატორიული მასალის მოთხოვნის, მიღების და ხარჯვის ამსახველი დოკუმენტაციის წარმოებას.

4.2.7. ლაბორატორიული ნიმუშების ხარისხის კონტროლზე მუდმივ ზედამხედველობას.

5. ფინანსური ურთიერთ–მოვალეობები

5.1. ლაბორატორიული კვლევები და ტარიფები განსაზღვრულია 2015 წლის 14 სექტემბერის „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N468 დადგენილებით.

5.2. ცვლილებები ლაბორატორიული კვლევების ტარიფებში წერილობითი სახით ეცნობება „შემსყიდველს“ ცვლილებამდე 2 დღით ადრე.

5.3. „მიმწოდებელი“ ყოველი თვის 5 რიცხვამდე წარუდგენს „შემსყიდველს“ გასული თვის შესრულებული სამუშაოების ინვოისს, შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით (შესრულებული სამუშაოების უწყისი).

5.4. „შემსყიდველი“ ვალდებულია შესაბამისი ინვოისის მიღებიდან მიმდინარე თვის ბოლომდე უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება დანართი #1-ში მითითებული ტარიფების შესაბამისად.“

5.5. თუ „შემსყიდველი“ გადააცილებს შესრულებული სამუშაოს საფასურის გადახდის ვადას, იგი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, გაწეული მომსახურების ღირებულების 0.01%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დავალიანების სრულ დაფარვამდე.

5.6. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შესყიდვის ობიექტის (ნაწილის) მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით;

5.7. დანართი #1-ით განსაზღვრული მომსახურების ტარიფები, კონტრაქტორის მიერ რეაქტივებითა და სახარჯი მასალებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მცირდება 30%-ის ოდენობით.

5.8. არსებული ფინანსური ურთიერთვალდებულებების დასადგენად მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვონ ურთიერთშედარების აქტის გაფორმება, რომლის გაფორმება სავალდებულოა ორივე მხარისათვის.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ შესაბამისად განსაზღვრული პირი;

6.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა.

7.1. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ ელექტრონული ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით, ამ მუხლის მე- 5.5 პუნქტის გათვალისწინებით.

7.1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება ხორციელდება 2023 წლის 20 ივნისიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7.2. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლისა და ორივე მხარის მიერ ურთიერთ კრედიტორულ– დებიტორული დავალიანების დაფარვის შემდეგ.

7.3. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე იყოს შეწყვეტილი:

7.4. მხარეთა შეთანხმებით

7.4.1. მიმწოდებელი ვალდებულია ერთპიროვნულად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსყიდველის მხრიდან 3 თვის განმავლობაში ზედიზედ შესრულებული სამუშაოს გადაუხდელობის შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსყიდველს დავალიანების და პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან.

7.4.2. ხელშეკრულება შესაძლებელია განახლდეს შემსყიდველის მიერ ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ.

7.5. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე ერთი მხარე წერილობით ატყობინებს მეორეს შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ცვლილებების გარდა;

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. კონფიდენციალურობა

9.1. მხარეები თანახმანი არიან ამ ხელშეკრულების დადების და შესრულების პერიოდში ერთმანეთისთვის გადაცემული და გადასაცემი მთელი ინფორმაცია მიიჩნიონ კონფიდენციალურ ინფორმაციად (ხოლო, კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში - კომერციულ საიდუმლოებად) და იღებენ ვალდებულებას არანაირი სახით არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გახადონ ის ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. მხარეები იღებენ ვალდებულებას მთლიანად აანაზღაურონ მეორე მხარისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებით გამოწვეული ზიანი.

10. ფორს-მაჟორი (დაუძლეველი ძალა)

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული

ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. მხარეებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან გადაწყდება მხარეთა შეთანხმების გზით.

11.2. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. .ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე, რომელიც ხელმოწერილია/დამოწმებულია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელ
შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი“	სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
მის: ქ.ბათუმი, ქათამაძის ქ.11	ქ.თბილისიკახეთის გზატკეცილი 99
ს/კ245418392	ს/კ 211324351
	მიმღები ბანკი:სახელმწიფო ხაზინა
	ბანკის კოდი:TRESGE22
დირექტორი:	გენერალური დირექტორს მოადგილეს
ციური აბულაძე	მეცნიერების დარგში პაატა იმნაძე

Salikh Abashidze Regional Center for AIDS and Tuberculosis Infectious Diseases Ltd
Digitally signed by Salikh Abashidze Regional Center for AIDS and Tuberculosis Infectious Diseases Ltd
Date: 2023.06.26 14:25:04 +04'00'

L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Digitally signed by L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Date: 2023.06.26 14:06:24 +04'00'

ფასთა ცხრილი

N		დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	MB.9.207.g	Leptospira igG, ELISA	100	45	4500
2	MB.9.207.m	Leptospira ig M ELISA	100	45	4500
3	MB.9.53.ge	Borelia ig G	100	35	3500
4	MB 9.29.ab	Leishmania Ab-ELISA	100	35	3500
5	A23.MB.4m	Brucella igM, ELIsA	100	45	4500
6	A23. MB 4g	Brucella igG, ELIsA	100	45	4500
7	MB.9.52 g	Borella igG	100	35	3500

საერთო ჯამი: 28500(ოცდარვაათას ხუთასი)